ხელშეკრულება №16

ქ. ლაგოდეხი 16 თებერვალი 2021 წელი

ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ერთის მხრივ, ა.ა.ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის თამარ ბაღაშვილი (შემდგომში ,,შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, ი.მ აკაკი ფურცელაძე შემდგომში (მიმწოდებელი) შორის.

1. ხელშეკრულების საგანი

11.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების მთლიანი ქსელისათვის სამეურნეო საქონლის(საწმენდი და საპრიალებელი პროდუქციის) შესყიდვა (კოდი 39800000)

2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. მისაწოდებელი სამეურნეო საქონელის შესყიდვა განხორციელდება ეტაპობრივად, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 4990 /ოთხიათას ცხრაას ოთხმოცდაათი/ ლარს. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.
2.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო

3.შესყიდვების ობიექტის მიწოდების პირობები

3.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა მისი ხელმოწერიდან 2022 წლის 31 იანვარი, ხოლო სამეურნეო საქონლის მიწოდების ვადაა 2021 წლის 31 დეკემბერი.

3.2. სამეურნეო საქონლის (საწმენდი და საპრიალებელი პროდუქციის) მიწოდება განხორციელდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების 31 საბავშვო ბაღებში.

3.3. სამეურნეო საქონლის მიღება გაფორმდება სასაქონლო ზედნადებით შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

3.4 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

3.5. თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი, მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

3.6. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

4. მხარეთა უფლება მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია: დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს (წერილობით) შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია: დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიღების საქმის კურსში ჩააყენოს (წერილობით) მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება. _რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობოს მიმწოდებელს წერილობითი ფორმით.

4.4. შემსყიდველს უფლება აქვს: განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე. თუ მიმწოდებელი წუნის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ ასრულებს თავის ვალდებულებას, მიმწოდებლის ხარჯზე ახორციელებს შესაბამის სამუშაოებს.

4.5. შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4.6. მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება_მოვალეობანი.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულებების შეუსრულებლობის ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულებების შეუსრულებლობის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.01%_ის ოდენობით.

5.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.4. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც

ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას

6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულების დამდები ერთ_ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა მოთხოვნით. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება წერილობით, ერთი თვით ადრე მაინც.

6.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

7. დავების გადაწყვეტის წესი

7.1. ამ ხელშეკრულების დროს წარმოშობილი დავები და უთანხმოებანი გადაიჭრება ურთიერთმოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

8. დასკვნითი დებულება

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან.

8.2. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ პირობით, თუ ის შესრულებულია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ. ამ ხელშეკრულების დანართები მის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ.

8.3. ეს ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარი იდენტურია და აქვს თანაბარი ძალა. ორივე მხარეს აქვს ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი

მ ხ ა რ ე თ ა რ ე კ ვ ი ზ ი ტ ე ბ ი

,,შემსყიდველი”	,,მიმწოდებელი”
ა.ა.ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის	ი.მ ,,აკაკი ფურცელაძე”
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა	ქ. ლაგოდეხი, ზაქათლის ქ. №28

გაერთიანება	ლიბერთი ბანკის ლაგოდეხის ფილიალი
ქ. ლაგოდეხი 26 მაისის ქ. №23	ანგარიშის № GE70LB0112198130427000
,,სახელმწიფო ხაზინა“	საიდენტიფიკაციო კოდი 25001003845
ანგ. # GE24NB0330100200165022	
საიდენ. კოდი 233146798	
სახაზინო კოდი 040101 ,,სკოლამდელი განათლება“	
გაერთიანების **დირექტორი** : თამარი ბაღაშვილი	

Union of Preschools of Lagodekhi Municipality

Подписано цифровой подписью: Union of Preschools of Lagodekhi Municipality
Дата: 2021.02.16 16:30:54 +04'00'

Akaki Purtseladze

Подписано цифровой подписью: Akaki Purtseladze
Дата: 2021.02.16 17:25:20 +04'00'